

**FROM THE HISTORY OF FOREIGN AND GEORGIAN COLLECTING
ACTIVITIES OF THE XVIII-XIX CENTURIES**

XVIII-XIX საუკუნეების უცხოური და ქართული
შემკრებლობითი საქმიანობის ისტორიიდან

Tamar Gogoladze

Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

Ketevan Barbakadze

Doctor of Pedagogical Sciences
Associated Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
+995577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

Abstract. The history of folkloristics has preserved for us the names of the “pioneers” of collecting activity, C. Brentano and A. Arnim. Having begun their journey on the Rhine River (in Germany), in 1806 they collected and published samples of oral literature (mainly folk songs) under the title “The Boy’s Magic Horn” (“Des KnabenWunderhorn”). Later, Ludwig Achim Arnim’s wife, Bettina (Elisabeth) Brentano also got involved in this work; they maintained connections with the Grimm Brothers and other German romantics, since it is precisely among the characteristics of romanticism as a movement was the effort to bring folk heritage to light in order to return a nation’s gaze toward its historical past.

In the Georgian reality, researchers believe the necessity of collecting oral literature was driven by the goals of restoring pride in the past of a nation that had lost its independence and raising its profile within Europe.

Since 1882, active collection efforts intensified with the development of a program (I. Gogebashvili, P. Umikashvili), which led to the main part of society (literate people, teachers) collecting material in their own regions, villages or cities and sending it to publications such as “Iveria” or “Droeba”. In the 1890s, Akaki’s monthly periodical collection served as a sort of central hub, leading to the interest of representatives of various processions. One of them was the actress Nato Gabunia and her husband, playwright Avksenti Tsagareli, who in 1886 published folk songs, songs, rhymes, proverbs in the newspaper Teatri (#41, #48), which they had recorded during their tours. The recordings are very flawed, as the basic requirements of the program are not met (exact place of recording, identity of the speaker, etc.), although the variants of folklore samples preserved in different regions of Georgia are noteworthy.

Keywords: Bettina and Achim Arnim, Clemens Brentano, the Tsagarelis, “Theatre”.

თამარ გოგოლაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
 +995577251272, tamilagogoladze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

ქეთევან ბარბაქაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
 +995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

აბსტრაქტი. ფოლკლორისტიკის ისტორიამ შემოგვინახა შემკრებლობითი საქმიანობის „პიონერების“, კ. ბრენტანოს, ა. არნიმის სახელები, რომლებმაც, 1902 წელს იწყეს რა მოგზაურობა მდ. რაინზე (გერმანიაში), შეკრიბეს და გამოსცეს (1806 წელს) ზეპირსიტყვიერების (ძირითადი ხალხური სიმღერების) ნიმუშები სათაურით „ბიჭის ჯადოსნური ბუკი“ („Des Knaben Wunderhorn“). მოგვიანებით ამ საქმეში ჩაება ლუდვიგ (ახიმ) არნიმის მეუღლე ბეტინა (ელიზაბეტ) ბრენტანოც. მათ კავშირი ჰქონდათ ძმებ გრიმებთან და სხვა გერმანელ რომანტიკოსებთან, რამდენადაც სწორედ რომანტიზმის, როგორც მიმართულების, მახასიათებლებს შორისაა ერის წარსულისაკენ მობრუნების მიზნით ხალხში შემორჩენილი ფოლკლორული მასალის გამომჩეურება.

ქართულ სინამდვილეში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრების აუცილებლობა, მკვლევართა აზრით, გაპირობებული იყო დამოუკიდებლობადაკარგული ერის წარსულით სიამაყისა და ევროპაში მისი ცნობადობის ამაღლების მიზნებით.

1882 წლიდან ძლიერდება აქტიური შემკრებლობითი საქმიანობის დაწყება საქართველოში პროგრამის შემუშავებით (ი.გოგებაშვილი, კ. უმიკაშვილი), რასაც მოყვა საზოგადოების ძირითადი ნაწილის სწრაფვა (წერა-კითხვის მცოდნე, პედაგოგი) საკუთარ რეგიონებში, სოფლებსა თუ ქალაქებში შეეკრიბათ მასალა და გაეგზავნათ „ივერიასა“ თუ „დროებაში“. 90-იან წლებში აკაკის „თვითურმა კრებულმა“ ერთგვარი ცენტრის ფუნქცია შეასრულა და ამას მოჰყვა კიდევ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა დაინტერესებაც. ერთი ამათგანნი იყვნენ მსახიობი ნატო გაბუნია და მისი მეუღლე დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი, რომელთაც 1886 წელს გაზეთ „თეატრის“ (#41, #48)-ში, გამოაქვეყნეს კიდევ ხალხური სიმღერები, ზმები, ოხუნჯობანი, ანდაზები, რომლებიც მათ ჩაიწერეს საგასტროლო მოგზაურობების დროს. ჩანაწერები მეტად ხარვეზიანია, რამდენადაც არაა დაცული პროგრამის ძირითადი მოთხოვნები (ჩაწერის ზუსტი ადგილის, ავტორ-მთქმელის ვინაობის და სხვ. აღნიშვნით), თუმცა საყურადღებოა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაცული ფოლკლორული ნიმუშების ვარიანტების კუთხითაც.

საკვანძო სიტყვები: ბეტინა და ახიმ არნიმი, კლემენს ბრენტანო, ცაგარლები, „თეატრი“.

შესავალი. ფოლკლორული ჩანაწერების წერილობითი ფიქსირება ევროპაში ძირითადად რომანტიზმის, როგორც მიმართულების, ჩასახვასა და განვითარებას უკავშირდება. თავად რომანტიზმის ბუნებიდან გამომდინარე, „ბევრი რამ იშვა ისეთი რომანტიზმის წიაღში, რამაც შემდგომი განვითარება რეალისტურ ლიტერატურაში ჰპოვა... ხალხურობის პრინციპი, რაც სალიტერატურო ენით ხალხურ მეტყველებასთან მიახლოებაში, ხალხური შემოქმედების შესწავლასა და ლიტერატურის ფოლკლორიდან აღებული ფორმებით გამდიდრებაში გამოიხატა“ (ქმს, 2003: 14).

ზეპირსიტყვიერებამ ერის წიაღში განვითარებული ყველა მოვლენა სიტყვის ნაირფეროვნების გამოხატულებად აქცია, მხოლოდ მისმა ფიქსირებამ უზარმაზარი სიცოცხლისუნარიანობა მიანიჭა ზეპირად ნათქვამს: „სადაც არსებობს ენა, იქ ზეპირ სიტყვას ბუნებრივი ასპარეზი აქვს... დამწერლობაში ზეპირსიტყვიერი ტექსტის მატერიალურად, ნიშნების საშუალებით დაფიქსირებით მათი ხანგრძლივად შენახვის საიმედო გარანტია შექმნა“ (კიკნაძე, 2008: 7-8).

აღნიშნული პროცესი დაუკავშირდა აქტიურ შემკრებლობით საქმიანობას რომანტიზმის ეპოქიდან იმ ქვეყნებში, რომლებშიც კი ეს მიმართულება წარმოიშვა, თუმცა მანამდე წარმოებული საქმიანობა (ნაწილობრივ ქაოტური, უსისტემო, პროგრამის გარეშე) ადრევე იჩენდა თავს.

მეთოდები. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

შედეგები და მსჯელობა. ფოლკლორული მასალის ჩაწერა და პუბლიკაცია გერმანიაში, ძირითადად, დაუკავშირდა არნიმის, ბრენტანოს, გრიმების და სხვა სახელებს, რაც არაერთხელ გამხდარა შესწავლის საგანი ფოლკლორისტიკის ისტორიაში, თუმცა, რამდენადმე გაურკვეველად, რის წარმოჩენასაც ისახავს წინამდებარე ნაშრომი. ასევე ყურადღება მახვილდება შემკრებლობითი საქმიანობის გარიჟრაჟზე საქართველოში ორი ენთუზიასტის მიერ „თეატრში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე ჩანაწერზე: „ფოლკლორისტიკა, როგორც მეცნიერება, რომანტიზმის წიაღში იშვა“ (თ. ჯაგოდნიშვილი). ამდენად, „ევროპაში, სადაც რომანტიზმა მთლიანად ამოწურა თავისი თავი, როგორც თეორიულ-მსოფლმხედველობრივ, ისე მხატვრული სიტყვის სფეროში, სასწაულებრივად დაუახლოვდა ხალხური სიტყვიერების სტიქიონს, ხოლო ზეპირსიტყვიერებისადმი გამოჩენილი მეცნიერული ინტერესებით ფოლკლორისტულ მეცნიერულ კონცეფციაში გადაიზარდა (მითოლოგიური სკოლა)“ (ჯაგოდნიშვილი, 2004: 314), თავად წარსულის ძირებისაკენ საზოგადოების ყურადღების მიქცევის საშუალებას სწორედ საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას ზეპირად გადაცემული, იძლეოდა, ალბათ, სწორედ ამიტომ გერმანული რომანტიზმი (ე.წ. „ჰაიდელბერგის“ სკოლა), რომლის წარმომადგენლები იყვნენ კ. ბრენტანო, ლ. ა. არნიმი, ძმები გრიმები - იწყებენ გერმანული სიტყვიერების ნიმუშების შეგროვებასა და პუბლიკაციას. ლ.ა. არნიმი კ. ბრენტანოსთან ერთად მდინარე რაინზე მოგზაურობისას ჩაწერილ მასალებს ათავსებს კრებულში „ბიჭის ჯადოსნური ბუკი“ („Das Knaben Wunderhorn“)¹ 1806 წელს გამოვიდა ტომი I. მასალაში წარმოდგენილია 723 სატრფიალო ჯარისკაცული, სალაშქრო და საბავშვო ლექს-სიმღერები. შესავალ ნაწილში, რომელიც არნიმმა და კ. ბრენტანომ მიუძღვნეს „კაპელმაისტერ რიხარდს“, ა. არნიმი წერდა, რომ ხალხურმა სიმღერამ თუ ას წელზე მეტ ხანს იცოცხლა ხალხში, ღირებულია ერთის ან მეორის სრულყოფილების გამო (ლ.

¹ ამ გერმანული წიგნის სათაურს ზოგი ქართველი ფოლკლორისტი თარგმნის, როგორც „ბიჭის ჯადოსნური სალამური“, ზოგი „ბიჭის ჯადოსნური ფლეიტა“, „ბიჭის ჯადოსნური საყვირი“ ჩვენ დავემყარეთ გერმანისტ ზ. ჭარხალაშვილის თარგმანს, მცირეოდენი ცვლილებით „ბიჭის ჯადოსნური ბუკი“ (თ.გ. და ქ.ბ.) და სხვ.

არნიმი). ამიტომაც უწოდებს ახიმ არნიმი ხალხურ სიმღერას „ამაღლებულს“. პოეტი, რომანისტი ლუდვიგ (ახიმ) არნიმი (1781-1831) ჯერ თავის მეგობართან კლემენს ბრენტანოსთან (1778-1842) ერთად ამზადებს ზემოდასახელებულ კრებულს, დაქორწინების შემდეგ კი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი, შენიშნავს (1811 წლიდან) კლემენსის დაზე, არაორდინარულ, პოეტურ ქალბატონზე, ბეტტინაზე (1785-1859) აგრძელებს ფოლკლორული მასალების ჩაწერა-გამოცემას. ლუდვიგ (ახიმ) ფონ არნიმი თავის კრებულში ზეპირსიტყვიერების გვერდით ათავსებს სხვა პოეტთა ნაწარმოებებს, რაზედაც ძმები გრიმები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ. მაგალითად, იაკობ გრიმი გამოდიოდა „სუფთა“, „მარტივი“ ტექსტების ჩაწერის მომხრედ, ვილჰელმი კი იცავდა მის თარგმნისა (სხვა ენებზე) თუ რედაქტირების აზრს.

„ბიჭის ჯადოსნური ბუკის“ I ტომს არნიმმა გაუკეთა მიძღვნა დიდი გერმანელი პოეტის ი.ვ. გოეთესადმი, ამ უკანასკნელმა მადლიერების ნიშნად დაუწერა მათ რეცენზია, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა კრებულს, თუმცა, გამოკვეთა მისი მნიშვნელობა, როგორც უბრალო ხალხისათვის გასაგები, ხოლო მეცნიერებისთვის - საინტერესოდ.

სადღეისოდაც ხშირად ეკამათებიან არნიმს ამ წიგნის გამო, თუმცა, თვით ავტორებიც არ უარყოფდნენ, რომ მათი მიზანი იყო არა კრიტიკული თვალთახედვით ფოლკლორული მასალის გამოცემა, არამედ, ფართო მკითხველისთვის, თანაც ზოგიერთი მათგანის თავად გამოცემლების თხზულებანი ერთვოდა თან.

მიუხედავად ამისა, ბრენტანოსა და არნიმის მიერ შესწავლილი უზარმაზარი ფოლკლორული მასალა (საარქივო მასალა შეიცავს 246 წერილსა და 2000 სიმღერას) დღესაც რჩება შემკრებლობითი ნაყოფიერი საქმიანობის იშვიათ ნიმუშად.

რომანტიზმის ეპოქაში ჩაწერილი და გამოქვეყნებული ფოლკლორული ჩანაწერების წარმოება გრძელდება რეალიზმის ეპოქაში და უკვე ჭარბობს მათი მეცნიერული შესწავლის მცდელობაც.

ქართულ სინამდვილეში არ შეინიშნება მხოლოდ რომანტიკული მიმართულების წიაღში შემკრებლობითი საქმიანობის წარმოება. როგორც სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი თ. ჯაგოდნიშვილი: „რომანტიზმის წინარე პერიოდის ქართული ზეპირსიტყვიერების მთლიანი შინაარსი თუ არა, მისი აქტუალური თემების, პრობლემების რაობა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა განსაზღვრა. ამავე ფაქტორმა განაპირობა ის გარემოებაც, რომ ზეპირსიტყვიერებამ ერთგვარად თანადროულ ქართულ მწერლობას დაასწრო ეროვნული წუხილისა თუ ტკივილის გამოხატვაში. ამ დროს ზეპირსიტყვიერებაში აშკარად გამოვლინდა არა მარტო მძაფრი პატრიოტული სულისკვეთების თემები, არამედ ისეთი მხატვრული სახეებიც, რომლებიც ქართულ მწერლობაშიც შეიჭრა და რომანტიკოსებისათვისაც იქცა თავისებურ შემოქმედებით იმპულსად“. (ჯაგოდნიშვილი, 2004: 315). აღნიშნული საკითხი მისივე მინიშნებით ღირსეულადაა შესწავლილი ელ. ვირსალაძის მიერ.

საქართველოში ზეპირსიტყვიერების შემკრებლობითი საქმიანობა კი უკავშირდება კრიტიკული რეალიზმის განვითარების ეპოქას - XIX საუკუნის 80-იან წლებს. სწორედ პრაქტიკული საქმიანობა გახდა მოწინავე ქართველი ინტელიგენტების ძირითადი ამოცანა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე (1882 წელს) მიღებული პროგრამა ითვალისწინებდა ფოლკლორისტიკაში იმ დროისათვის ევროპაში უკვე აპრობირებულ მოთხოვნებს ზეპირსიტყვიერების ჩაწერისათვის ანუ ერთგვარ ინსტრუქციასა და შემსრულებელთა პროფესიასაც (მასწავლებლობა) იყო ერთგვარი „პასპორტი“, რომელშიც უნდა ჩაწერილიყო ჩაწერის ადგილი, თარიღი, მთქმელის (იქნებოდა ეს მთქმელი თუ ავტორ-მთქმელი) წლოვანება, მთხრობელის ენის დახასიათება (უნდა ყოფილიყო ქართველი). მოგვიანებით სხვა პროფესიის ჩამწერნი (შემკრებნი) გამოჩნდნენ: მწერლები, ისტორიკოსები, მსახიობებიც... სწორედ ორ ასეთ

შემკრებსა და მათ ჩანაწერებზე მახვილდება ჩვენს ნაშრომში ყურადღება: ესენია მსახიობი ნატო გაბუნია-ცაგარლისა და დრამატურგი, თეატრალი ავქსენტი ცაგარელი.

საჭირო ინფორმაციას ამ ცოლ-ქმრის შემკრებლობითი საქმიანობაზე გვაძლევს მკვლევარი ამბერკი გაჩეჩილაძე: „ავქსენტის დედა გონებამახვილი, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ზეპირსიტყვიერების მოყვარული ადამიანი იყო... ხალხური პოეზიის სიყვარული დრამატურგის შემოქმედებას მტკიცე საფუძვლად დაედო. აღსანიშნავია, რომ ა. ცაგარელი საგასტროლო მოგზაურობისას თავის მეუღლესთან, ნატო გაბუნიასთან, ერთად ხშირად იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს“ (გაჩეჩილაძე, 1974: 552) (ხაზი ჩვენია - თ.გ., ქ.ბ.). ამ ციტატას ქვემოთ, სქოლიოში, ა. გაჩეჩილაძეს დასახელებული აქვს მხოლოდ გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის #43-ში გამოქვეყნებული ცოლ-ქმრის შეკრებილი ნიმუშები, მაგრამ ჩვენ მივაკვლიეთ ამავე წლის გაზეთის #41-ში გამოქვეყნებულ ნატო გაბუნიას მიერ ჩაწერილსაც (აქვეა ნინო ორბელიანის ლექსიც). 1978 წელს გამოცემულ ქართული ხალხური პოეზიის VI ტომში შესულია ერთი ჩანაწერიც ნატო გაბუნია-ცაგარელის მიერ მოძიებული და შემდგომად „თეატრის #43-ში განთავსებული:

„ლამაზო და მშვენიერო, ღვინისფერო მძინარე,
მე რომ შენსკენ წამოვედი, თავი მოიმძინარე“

(ქბპ, 1978: 135)

მაგრამ არაა მინიშნებული (როგორც „თეატრის“ პუბლიკაციაშია მოხსენიებული) ჩაწერის ადგილი - იმერეთი.

ჩვენს მიერ გადაისინჯა მხოლოდ ქს. სიხარულიძის მიერ გამოცემული ზეპირსიტყვიერების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის I ტომი, მაგრამ ვერ მოხერხდა ჩამწერთა არქივების სრულყოფილი შესწავლა, რასაც, შესაძლოა, მივეყვანეთ უფრო საფუძვლიან დასკვნებამდე.

ნატო გაბუნია-ცაგარელისა (1859-1910/12) გორში დაბადებული, მსახიობის უტყუარი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი, ხშირად მოგზაურობდა გასტროლებში ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, გორში და სხვ, მისი ნიჭი და უშურველი იუმორი სცენაზე მაყურებელში დიდი მოწონებით სარგებლობდა. სწორედ ნატოს თეატრიდან ჩამომორებამ დააჩქარა მისი გარდაცვალება.

ნატოსა და ავქსენტის სიყვარული თითქოს ლეგენდური ფორმით შემოინახა ისტორიამ, კასპში საგასტროლოდ წასული ნატოს მონატრებაში რომ აღმოხდა სული (1902 წ.) ავქსენტის.

მიუზღვრუნდეთ ზეპირსიტყვიერების ჩანაწერებს, გაზეთ „თეატრის“ 1886 წლის #41-ში გამოქვეყნებული „თეატრის კვირის“ ქუდის ქვეშა წარმოდგენილი, ჩანაწერი ყოველგვარი „პასპორტის“ გარეშეა, ჟანრობრივად კი უძველესი სატრფიალო „აქედანა და შენამდის“ და 3 სახუმარო ლექსია, რომელთაგანაც ორი უცნობია, ხოლო ცნობილია („გოგო, გოგო შავ თვალაო, ბიჭმა შემოგიტვალაო, ან მომეც ჩემი დანაო, ან წამიყვანე თანაო“).

თეატრის კვირა

„აქედანა და შენამდის, ვარდი მასხია ენამდის,
რომ ვინმე გამომიშვებდეს, სირბილით მოვალ შენამდის.

ლამაზმა ქალმა დამწყევლა, ხელ შეღებილმა ინითა,
ნეტავი იმას შემყარა ზარხოშით ვიყო ღვინითა.

გოგო, გოგო, შავ თვალაო, ბიჭმა შემოგიტვალაო,
ან მომეც ჩემი დანაო, ან წამიყვანე თანაო.

ლამაზმა თქვა: ბნელსა ღამეს მე აღარ მინდა ფარანი,
მე ისეთი ბიჭი მინდა, პირსა არ ესხას ბალანი“.

(შეკრებილი ნ. გაბუნია-ცაგარელისგან)
(თეატრი, 1886: #41; 467)

„თეატრის“ #43-ში ცოლ-ქმრის მიერ ჩაწერილი მასალა უკვე სხვა „ქუდის“ ქვეშაა („ხალხური პოეზია“), პასპორტის მონაცემები აქაც არაა დაცული, სამაგიეროდ, მინიშნებულია ჩაწერის ადგილი („იმერეთში შეკრებილი“) ავქსენტი ცაგარელის მიერ, ჩაწერილს მინიშნება ადგილისა არ ახლავს, სავარაუდოდ, თბილისსა და მის შემოგარენში (მანგლისში) შეიძლება ჩაეწეროთ. ავქსენტის ჩანაწერებიდან ერთია მანგლისის აშენებაზე (სავარაუდოდ, გადმოცემა) დანარჩენი სამი კი სატრფიალო-გაშაირებებია.

ხალხური პოეზია

იმერეთში შეკრებილი.

„მე ქალი მძულს ნაკრუხალი, კურტუმ-ბარკალ დაგლეჯილი,
კაცი სხვისას მოლხენილი, თავის სახლში დაღეჯილი.

ცოლეურსა მივდიოდი, მივითლიდი ატამსაო,
აქეთობას მოვიდოდი, მოვიკრებდი ნათალსაო!

ლამაზო და მშვენიერო, ღვინის ფერო მძინარე,
მე რომ შენკენ წამოველი, თავი მოიმძინარე.

„აფრინდი, შავი მერცხალო, დაჰყე არაგვის პირსაო,
ნეტავ რა გაუჭირდება შენი დედ-მამის შვილსაო!

მინდორ-მინდორ დავდიოდი, ალაგ-ალაგ ჭოჭყი იყო,
მე საწყალმა რა ვიცოდი, თუ ის გოგო კოჭლი იყო!

სიღარიბე და ობლობა, ორივე გამომივლია,
სჯობს სიღარიბე ობლობას, ობლობა მეტად ძნელია.“

(შეკრებილი ნატალია გაბ-ცაგარელისგან)

მანგლისი რომ ააშენეს, წყარო ადინეს მილითა;
სასახლეები დამართეს, თეთრად დალესეს კირითა.
იქ რომ ერთი ქალი იყო, ხელებს იღებდა ინითა,
თრიალეთიდან მეცხვარე ყველს ეზიდება ვირითა;

კამეჩსავით ლაფში წევხარ, გვერდზე გაცხია ტალახი,
თავი მოკალულ ქვაბს გიგამს, შენ რაღათ გინდა დალაქი.

მაღლა-მაღლა დავფრინავდი, დაგვიოდი ქორივითა,
ძუძუ-მკერდი დაგინახე, თეთრი გქონდა ბროლივითა.

ბიჭო! რას გადამეკიდე, რას ამიტეხე შარები,
ღლე და ღამე რომ ვიყბედო, მაინც არ დავიღლები,

ისე გაგიხდი საქმესა, ველარ გაიგნო კარები;

ურემსა თივა დაუდე, დაუდე და დამეშალა,
გოგო, იქით გამეცალე, საღერღელი ამეშალა.

(შეკრებილი ავქსენტი ცაგარლისაგან)
(თეატრი, 1886: #43; 508).

იმერეთში ჩაწერილი ნატო გაბუნას ერთი ორსტროფიანი ლექსი ვარიანტია „გაფრინდი, შავო მერცხალოსი“ („აფრინდი, შავო მერცხალო, დაჰყე არაგვის პირსაო, ნეტავ რა გაუჭირდება შენი დედ-მამის შვილსაო“, ორი ზმა, ერთი - სატირული.

ალბათ, საჭირო იქნებოდა დანარჩენ ფოლკლორულ მასალაზე და მათ ჩამწერებზე მცირეოდენი ინფორმაცია, რაც ჩვენს ნაშრომში წარმოვადგინეთ.

ლექსის „მანგლისი რომ ააშენეს“ უძველესი ჩანაწერი 1882 წელსაა შესრულებული (ქართული ხალხური პოეზიის VI ტომის შენიშვნების მიხედვით). „სულ აღრიცხულია 44 ჩანაწერი, ცალკეულ კუთხეთა ვარიანტების გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოთი იფარგლება...“ (ქპ, 1978: 380-381). ჩანაწერები ვარიანტების გაკეთებულია მიტარბიში, ნატახტარში, ხიდისთავში, ყვავილში, წინამძღვრიანთკარგში, ნავდარაანთკარგში, დიდ თონეთში, ხელთუბანში, თელათგორში, ქალდალაში, ანაგაში, მელაანში, იყალთოში, აკურაში, ქისტაურში, ახალციხეში, ბაზალეთში, თონეთში, ფშავში, მაგრანეთში, დუმაცხოში, გოსტიბეში მთისა და ბარის აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ყველაზე ახლოს ავქსენტი ცაგარელისეულ ჩანაწერთან დგას მხოლოდ ისტორია მიტარბიში და ყვავილში ჩანაწერები, მაგალითად:

ავქსენტი ცაგარელისეული

„მანგლისი რომ ააშენეს, წყარო ადინეს მილითა;
სასახლეები დამართეს, თეთრად დალესეს კირითა
იქ რომ ერთი ქალი იყო, ხელებს იღებდა ინითა,
თრიალეთიდგან მეცხვარე ყველს ეზიდება ვირითა“

(თეატრი, 1886: #43; 508)

ვ. კოტეტიშვილისეული ჩანაწერი (პატარა მიტარბი)

„მანგლისი რომ ააშენეს, წყარო ადინეს მილითა,
სასახლეები დამართეს, თეთრად გალესეს კირითა“

(ქპ, 1978: 370)

ალექსანდრე ბეგიაშვილისეული ჩანაწერი (ძველ ანაგაში)

„მანგლისი რომ ააშენეს, წყარო ადინეს მილითა,
გამართეს სასახლეები, დალესეს თეთრი კირითა“

(ქპ, 1978: 373)

ჩანაწერების დროის მიხედვით (1934, 1939 და უფრო გვიანდელი) გამოდის, რომ ყველაზე ძველი ავქსენტი ცაგარელის ჩანაწერია (1886), თუმცა ქართული ხალხური პოეზიის VI ტომში დაფიქსირებულ ბალადას მეორე ნაწილიც ახლავს, რომელიც ნატო გაბუნია-ცაგარელის მიერ „თეატრის“ #41-ში გამოქვეყნებულია:

„ლამაზმა ქალმა დამწყევლა, ხელშეღებილმა ინითა,
ნეტავი იმას შემყარა ზარხოშით ვიყო ღვინითა“

(თეატრი, 1886: #41; 467)

ამ ნაწყვეტის ვარიანტები ახლავს ქართლში, ს. ხელთუბანში, 1961 წელს ჩაწერილს:

„ლამაზმა ქალმა დამწყევლა, თმაშეღებილმა ინითა,
ნეტავი მასთან მამყოფა, ზარხოშით ვიყვე ღვინითა“)

(ქპ, 1978: 372)

ნატო გაბუნიასეულ ჩანაწერში „ხელშეღებილია“ სხვა ვარიანტებში „თმა-შეღებილი“, „თმა შეუღებავს ინითა“, „წარბს იღებამდა ინითა. ქართული ხალხური პოეზიის მეექვსე ტომის შენიშვნებით „ქალის მიერ ინით შეღებვა ხელისა მიღებელი იყო ქართულ კოსმეტიკაში. ხშირად ეს მოტივი უკვე შეცვლილი, გვიან გააზრებული ფორმით გვხვდება. „თმას იღებავდა ინითა“ ან „წარბებს იღებავს ინითა“ (ქბპ, 1978: 381). ყველაზე ადრინდელ ჩანაწერში ქართლში, ს. ხიდისთავში, 1892 წელს ნიკო ასათიანის მიერაა დაფიქსირებული:

„შიგა ზის ქალი ლამაზი, ხელებს იღებდა ინითაო“

(ქბპ, 1978: 371)

ამდენად ნატო გაბუნიასეული ჩანაწერი შედარებით ადრინდელი უნდა იყოს - 1886 წელი. პირველ პუბლიკაციაში („თეატრი“ #41) ნატო გაბუნიას ერთი ცნობილი უძველესი ქართული სატრფიალო ლექსისთვის მიუგნია. ესაა „აქედამა და შენამდის“.

„აქედამა და შენამდის ვარდი მასხია ენამდის,

რომ ვინმე გამომიშვებდის, სირბილით მოვალ შენამდის“

(თეატრი, 1886: #41; 467)

ნატო გაბუნიას არ აქვს მინიშნებული, სად ჩაიწერა ეს ლექსი. რაც შეეხება ქართული ხალხური პოეზიის VI ტომს, აქ, 7-ოდე ვარიანტია მოხმობილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (ქართლი, კახეთი, იმერეთი, ფშავი, მესხეთ-ჯავახეთი, სამეგრელო), აქედან ერთი უძველესი ქართლში უნდა იყოს ჩაწერილი, თუმცა, შემკრებთა დაინტერესება ამ ლექსის მიმართ იმდენად დიდი ყოფილა, რომ ნატომდე „თეატრის“ 1886 წლის #8-ში ცნობილ საზოგადო მოღვაწეს სოსიკო მერკვილაძეს ჩაუწერია მისი ერთი ადრეული ვარიანტი:

„აქედანა და შენამდის ვარდი მასხია ენამდინ,

რომ ვინმე გამომიშვებდეს, სულ ფრენით მოვალ შენამდინ“

(ქბპ, 1978: 269)

„ამ ლექსის ვ. კოტეტიშვილისეული ვარიანტი ყველაზე სრულია. ამ ლექსს სამართლიანად უკავშირებს საწესჩვეულებო საგაზაფხულო დღესასწაულებს“ - ნათქვამია ქართული ხალხური პოეზიის მეექვსე ტომის შენიშვნებში (ქბპ, 1978: 270). სავარაუდოდ, ს. მერკვილაძის მიერ გაკეთებული ჩანაწერის შემდგომ მეორე ადგილს სიძველის მიხედვით იკავებს ნატო გაბუნია-ცაგარელის ჩანაწერი.

ცაგარელების ჩანაწერები „პროგრამის“ პასპორტის მონაცემებს არ შეიცავს და არც კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმებია დაცული, ამიტომაც გაურკვეველია, რომელია იმერეთში ან ქართლში ჩაწერილი.

დასკვნა.

1. გერმანული ზეპირსიტყვიერების შემკრებთა შესახებ ინფორმაციის დასაზუსტებლად: „ბიჭის ჯადოსნური ბუკის“ ჩამწერნი არიან რომანტიკოსი პოეტები კლემენს ბრენტანო და ლუდვიგ (ახიმ) ფონ არნიმი და არა ბეტტინა და ახიმ ბრენტანოები, კრებულის პირველი ტომის დათარიღებაა 1806 წელი. მომდევნო ტომები კი გამოიცა 1806-1808 წლებში.

2. საყურადღებოა და მნიშვნელოვანი 1886 წელს გაზეთ „თეატრის“ #41, 43 ნომრებში გამოქვეყნებული მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარელის და დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (იმერეთი, თბილისის შემოგარენი) ჩაწერილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (სატრფიალო ლექსები, სახუმარო, ზმა და ანდაზები), რომლებიც თუმცა „პროგრამის“ მოთხოვნების გათვალისწინების გარეშეა შეკრებილ-გამოქვეყნებული, მისი ვარიანტული სახესხვაობის შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს ფოლკლორისტიკის ისტორიას შემკრებლობითი საქმიანობის გააქტიურების პროცესის შესწავლის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

ბურუსი. (თ.გ.). *ნატო გაბუნია – ბიოგრაფია*. მოძიებული ვებგვერდიდან:

<https://burusi.wordpress.com/2009/11/23/nato-gabunia-2/>

გაჩეჩილაძე, ა. (1974). ავქსენტი ცაგარელი. კრებულში: *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. IV. შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

თეატრი. (1886). #41, 43.

კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი.

ქართველი მწერლები სკოლაში (ქმს). (2003). წ. I. თბილისი.

ქართული ხალხური პოეზია (ქპპ). (1978). VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯაგოდნიშვილი, თ. (2004). *ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია*. წ. I. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

REFERENCES

burusi. (n.d.). *nat'o gabunia – biograpia [Nato Gabunia – Biography]*. Retrieved from:

<https://burusi.wordpress.com/2009/11/23/nato-gabunia-2/>

gachechiladze, a. (1974). avksent'i tsagareli [Avksenti Tsagareli]. In *kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Georgian Literature]*. Vol. IV. Shota Rustaveli Literary Institute. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.

teat'ri [Theatre]. (1886). #41, 43.

k'ik'nadze, z. (2008). *kartuli polk'lori [Georgian Folklore]*. Tbilisi.

kartveli mts'erlebi sk'olashi (kms) [Georgian Writers at School (GWS)]. (2003). Book I. Tbilisi.

kartuli khalkhuri p'oezia (kkhp') [Georgian Folk Poetry (GFP)]. (1978). VI. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

jagodnishvili, t. (2004). *kartuli polk'lorist'ik'is ist'oria [History of Georgian Folklore]*. Book I. Tbilisi: TSU Publishing House.